მთვარის ზედაპირზეა საბჭოთა ალამი

გუშინ 0 საათზე 02 წუთსა და 24 წამზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა რაკეტამ მიაღწია მთვარის ზედაპირს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 215 (11521) | სამშაბათი, 15 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

საკდესის ცნობა

დღეს, 14 სექტემბერს, 0 საათზე 2 წუთსა და 24 წამზე მოსკოვის დროით მეორე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიაღწია მთვარის ზედაპირს. ისტორიაში პირველად განხორციელდა კოსმოსური გაფრენა დედამიწიდან სხვა ციურ სხეულზე. ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად მთვარის ზედაპირზე მიტანილია ალმები, რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის გერბი და წარწერა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სექტემბერი, 1959 წელი“.

მთვარესთან შეხვედრისას ალმების დაცულობის უზრუნველსაყოფად მიღებული იყო კონსტრუქციული ღონისძიებანი.

სამეცნიერო გაზომვათა პროგრამა დამთავრებულია.

სამეცნიერო და საზომი აპარატურის კონტეინერში დადგმულ რადიოსაშუალებათა მუშაობა მთვარესთან შეხვედრის მომენტში შეწყდა.

საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეს რომ მიაღწია, ეს მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი წარმატებაა. გადაიშალა ახალი ფურცელი კოსმოსის სივრცის კვლევაში.

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის შექმნის და მთვარეზე გაშვების მონაწილე მთელ კოლექტივს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის შექმნასა და მთვარეზე გაშვებაში.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი შემოქმედებითი თავდადებული შრომით თქვენ ერთხელ კიდევ დაანახვეთ მთელ მსოფლიოს სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევათა ძალა და ძლიერება. მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება, რომელმაც 14 სექტემბერს მთვარის ზედაპირს მიაღწია, მოასწავებს ახალ ერას კაცობრიობის მიერ კოსმოსის სივრცის დაპყრობაში; ისტორიაში პირველად განხორციელდა დედამიწიდან სხვა ციურ სხეულზე გაფრენა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი სახელოვანი გამარჯვება სამსახურს გაუწევს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეს, ყველა ხალხის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებიც თავიანთი შრომით სახელს უხვეჭენ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიდის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

განსაცვიფრებელია!

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ძლიერ ვამაყობ და უსაზღვროდ მახარებს მშობლიური მეცნიერების დიდებული სვლა.

მიხეილ შოლოხოვი

სტანიცა ვეშენსკაია, 12 სექტემბერი.

• • •

ძლევამოსილი კომუნა ცას იპყრობს

მთვარისაკენ მეორე კოსმოსური რაკეტის გაშვება საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკოსებისა და მუშების ახალი ბრწყინვალე გმირობაა.

მარქსი ლაპარაკობდა პარიზის კომუნარებზე, რომლებიც „ცას იპყრობდნენ“. ის, რაც მხოლოდ ხატოვანი სიტყვა იყო, დიადი ძლევამოსილი კომუნისათვის, საბჭოთა კავშირისათვის რეალობად იქცა.

დიდება საბჭოთა მშრომელებს!

დიდება ლენინის პარტიას!

მორის ტორეზი.



ქართველი მეცნიერის სიტყვა

★ ★

საბჭოთა კულტურის უდიდესი ზეიმი

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ თხვისი ზღაპრული მიღწევებით უკვე არაერთხელ გააკვირვა მთელი მსოფლიო. უკანასკნელ დღეებში მოპოვებული წარმატება — მთვარეზე პირდაპირი მოხვედრა კოსმოსური რაკეტისა, რომელიც გაშვებული იყო საოცარი სიზუსტით გაანგარიშებული ტრაექტორიით და რომელმაც მიზანს მიაღწია წინასწარ ნავარაუდევ დროში, ჭეშმარიტად გრანდიოზულია.

ყველაზე მთავარი ამ მოვლენაში ის არის, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ტექნიკის და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთელი საბჭოთა კულტურის განვითარების მსვლელობის კანონზომიერ შედეგს. ამიტომ არის მთვარეზე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის პირდაპირი მოხვედრა მთელი საბჭოთა კულტურის ახალი უმაგალითო ტრიუმფი, მისი უდიდესი ზეიმი.

დიდება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის, ყველაზე მასობრივი და მაღალი კულტურის შემქმნელ გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ნამდვილ სასწაულებს ახდენს!

აკადემიკოსი
ნ. მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ნ. ხრუშჩოვმა მიიღო

საფრანგეთის მშენებლობის საქმეთა მინისტრი პ. სიუპრო

12 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთის მშენებლობის საქმეთა მინისტრი პ. სიუპრო მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი.

ვულოცავ სახელოვან საბჭოთა ხალხს

უდიდესი სიხარული მოიცავს თვითეულ მშვიდობისმოყვარე გერმანელს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვებასთან დაკავშირებით. ვულოცავ სახელოვან საბჭოთა ხალხს და მის გამოჩენილ მეცნიერებს მსოფლიო მნიშვნელობის ამ მიღწევას. ის ფაქტი, რომ იმავე დღეს წყალში ჩაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი, რომელიც გენიალური ლენინის სახელს ატარებს, ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა...

ცოტა ხნით ადრე, სანამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხალხთა მეგობარი ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდებოდეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, დაე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ ყველა ხალხს აუწყოს საბჭოთა კავშირის მტკიცე ნება, რომ ენერგიის ახალ წყაროებს მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენებს.

დაე ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის საუბრებმა გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა და თანდათანობით განიარაღება.

ვალტერ ულბრიხტი.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასთან დაკავშირებით მიღებულ წერილებსა და დეპეშებზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასთან დაკავშირებით ჩემს სახელზე მიღებულია ბევრი წერილი და დეპეშა საბჭოთა ადამიანებისაგან, აგრეთვე სხვა ქვეყნების მოქალაქეთაგან, მათ შორის ამერიკელებისაგან. ამ წერილებსა და დეპეშებში გამოთქმულია იმედი, რომ ჩემი ვიზიტი ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომ აზრთა გაზიარება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბ-ნ ეიზენჰაუერთან კარგ დასაბამს მისცემს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

კაცობრიობა ახლა მშვენიერ დროში ცხოვრობს. ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის აყვავების დრო, როცა ჭეშმარიტად, რომ ზღაპარი ნამდვილი ამბავი ხდება. ჩვენი გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაემთხვა ორ უდიდეს მოვლენას: ისტორიაში პირველად წარმატებით განხორციელდა კოსმოსური რაკეტის გაფრენა მთვარეზე, რაკეტისა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა გაგზავნეს დედამიწიდან, და სანაოსნოდ გავიდა მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“.

რამდენი ფანტასტიკური რომანი, ზღაპარი და პოემა დაიწერა მთვარეზე გაფრენის შესახებ! ადამიანები საუკუნეობით ოცნებობდნენ პლანეტათშორის მოგზაურობაზე, და აი ახლა ჩვენ ვიმყოფებით ამ შემმართებელი ოცნების განხორციელების პირას. მეცნიერები მრავალი ათეული წლის მანძილზე ცდილობდნენ შეექმნათ ხომალდი, რომელიც შეძლებდა ჯიქურ წასულიყო ჩრდილოეთ პოლუსისაკენ, და აი ახლა ასეთი ხომალდი ჩამდგარია მწყობრში.

მაშ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, — და არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა კეთილი ნების ადამიანმაც, — როგორ არ გავიხაროთ და არ გამოვთქვათ აღტაცება საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების დიდი გმირობის გამო, რომლებმაც წუთებისა და წამების სიზუსტით გამოიანგარიშეს და განახორციელეს რაკეტის დიდებული გაფრენა დედამიწა-მთვარის მარშრუტით. როგორ არ მივესალმოთ საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც შექმნეს მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი, რომელსაც შეუძლია თვეობით დარჩეს ნაოსნობაში და ამსხვრიოს საუკუნოვანი ყინულები.

კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა ადამიანების გმირობამ მსოფლიოს ამცნო ახალი ერა, როცა ადამიანმა, რომელიც დაეყრდნო ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ასტრონომიისა და სხვა მეცნიერებათა კანონების ულრმეს ცოდნას, შექმნა ძალა, რომელსაც შეუძლია გაგზავნოს დედამიწიდან ცის სხვა სხეულზე მძლავრი კოსმოსური ხომალდი და მიიყვანოს იგი ზუსტად დათქმულ პუნქტზე.

საბჭოთა ადამიანებმა რატომ მსოფლიოში პირველებმა წარმატებით გადაჭრეს ესოდენ ძნელი, ჭეშმარიტად უდიდესი პრობლემა — მთვარეზე რაკეტის გაგზავნის პრობლემა, — ეს ხომ მრავალცნობილი ამოცანა იყო! ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ იმავე საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ხელით, თავიანთი გმირული შრომით უმოკლეს ისტორიულ ვადაში შეძლეს გადაეჭრათ უდიდესი სოციალური პრობლემა — მათ ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და მტკიცე რწმენით აშენებენ კომუნიზმს.

საბჭოთა რაკეტის უმაგალითო გაფრენა მთვარეზე და ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ ჩაყენება მწყობრში დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ჩვენი ხალხი წარმატებით ქმნის კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც განზრახ ხუჭავენ თვალს და არა სურთ დაინახონ რეალური სინამდვილე, შეუძლიათ დაეჭვდნენ ადამიანის პროგრესის იმ განუსაზღვრელ შესაძლებლობაში, რომელსაც კომუნიზმი ჰქმნის.

საბჭოთა ადამიანები სასიამოვნოდ აღელვა და განაცვიფრა ცნობამ, რომ რაკეტა გაფრინდა მთვარეზე. ისინი ამაყობენ თავიანთი მეცნიერებით, ინჟინრებით, ტექნიკოსებით, მუშებით, რომლებმაც შეძლეს მსოფლიოში პირველებს გაეგზავნათ მთვარეზე კონტეინერი მეცნიერული აპარატურითა და ალმით, რომელზეც გამოხატულია საბჭოთა კავშირის გერბი და ამით მოეპოვებინათ ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი. ამრიგად, ჩვენ, საბჭოთა კავშირმა, მტკიცედ დავიმკვიდრეთ მთვარეზე რაკეტის პირველი წარმატებითი გაფრენის პრიორიტეტი.

ჩვენ რასაკვირველია, გვესმის, რომ კოსმოსის დამპყრობი ჩვენი ადამიანების გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის გმირობაა, სოციალიზმის მთელი ბანაკის გამარჯვებაა. ეს თვალსაჩინო წვლილია მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევაა.

ყინულმჭრელ „ლენინის“ ამუშავებას, რომლის ძრავებსაც ახლა ატომური ენერგია ამოძრავებს, აგრეთვე სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა აამუშავეს ელექტროსადგური ატომური ენერგიით, პირველებმა ჩააყენეს მწყობრში ატომური ყინულმჭრელიც. ამით ჩვენ კვლავ თვალსაჩინოდ დავანახვეთ ყველას, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენონ ატომის ენერგია.

ჩვენი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ დაამსხვრევს არა მარტო ოკეანეთა ყინულს, არამედ „ცივი ომის“ ყინულსაც. იგი გზას გაიკაფავს ხალხთა გონებისა და გულისაკენ, მოუწოდებს მათ მოახდინონ შემობრუნება, რათა ომის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამალებულ შეიარაღებაში, სახელმწიფოებმა დაიწყონ შეჯიბრება ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი სულისა და სხეულის გასათბობად, ყოველივე ომის შესაქმნელად, რაც ადამიანებს ესაჭიროებათ ატომური ენერგიის გამოყენებაში. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა ხალხთან ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, და ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ამ მოწოდებას ყველა სახელმწიფო გამოეხმაურება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა, რომლებმაც შექმნეს რაკეტა და გაუშვეს იგი მთვარეზე, გადმომცეს პირი ალმისა, რომელიც იქ საბჭოთა რაკეტამ მიიტანა. მე ბედნიერი ვიქნები მივართვა ალმის პირი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბ-ნ ეიზენჰაუერს. დაე ეს ალამი იყოს სიმბოლო, რომელიც მოგვიწოდებს გავაერთიანოთ საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების, ინჟინრების, მუშების ღონისძიებანი, ჩვენი ხალხების ღონისძიებანი შემოქმედებით შრომაში, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხს შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში.

პირობას გაძლევთ ძვირფას თანამემამულეებს და ყველას, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასთან დაკავშირებით მეგობრული წერილები და დეპეშები გამომგზავნეთ, რომ ჩემი მხრივ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა გავამართლო თქვენი იმედი. არ მეეჭვება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კეთილი განზრახვები აქვს. შეერთებულ შტატებში რომ მიმიწვია ვიზიტით, ეტყობა, ისიც იმას ესწრაფვის, რომ გამოინახოს საერთო ენა სადავო საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

მთავარი, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ, ის არის, რომ უზრუნველყოთ ცხოვრების მშვიდობიანი პირობები ყველა ადამიანისათვის დედამიწაზე.

გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგებო და საზღვარგარეთელო მეგობრებო, კეთილი სურვილებისათვის.

ნ. ხრუშჩოვი

1959 წლის 14 სექტემბერი.

მადლობა მილოცვებისათვის

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა პარტიის თავმჯდომარემ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა 11 სექტემბერს ჰანოიდან დეპეშა გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს. დეპეშაში გამოთქმულია მადლობა ძმური მილოცვისა და გულითადი სურვილებისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მე-14 წლისთავის გამო. ვიეტნამელი ხალხი აღნიშნულია დეპეშაში, კვლავაც განამტკიცებს ურღვევ მეგობრობას საბჭოთა ხალხთან.

ასეთივე დეპეშა გამოუგზავნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვან დონგმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. (საკდესი).

გზა მშვიდობისა

გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა! ამ გულითადი სიტყვებით მიაცილებს ახლა ყველა საბჭოთა ადამიანი, კეთილი ნების ყველა ადამიანი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომელიც მშვიდობის ელჩად მიფრინავს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან შესახვედრად. ხმას იმაღლებენ მშრომელთა მილიონები, რომ სამუდამოდ გადნეს „ცივი ომის“ ყინული და გაიფანტოს პირქუში ღრუბლები ხუთივე კონტინენტზე.

ჭეშმარიტად ისტორიულ დღეებში მიემგზავრება ამერიკაში ჩვენი დიადი სამშობლოს მესვეური. კოსმოსში გაფრენილმა მეორე რაკეტამ საბჭოთა სახელმწიფოს ალამი მიიტანა მთვარის ზედაპირზე. ეს არის საბჭოთა მეცნიერების უდიდესი ტრიუმფი. ამას დაემთხვა პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ ჩაშვება ნევაში. შორეული ზღვებისა და ოკეანეების საუკუნოვან ყინულებს დაამსხვრევს ყველაზე უდიდესი ყინულმჭრელი მსოფლიოში; წინ წარუძღვება საბჭოთა საზღვაო ფლოტს უმძლავრესი „ლენინი“...

მთელი მოწინავე კაცობრიობა გზას ულოცავს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, გულით უსურვებს წარმატებას „ცივი ომის“ მოსპობის საქმეში, მჭიდრო მეგობრული კავშირის დამყარებას საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის, მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მილიონთა ხმას უერთებენ თავიანთ აღტაცებას და გულის ნადებს საქართველოს მშრომელები. ერთხმად გაისმის კეთილი სურვილის გამომხატველი სიტყვები: გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა!

ძლიერია ჩვენი სამშობლო

საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი მეგობრული ვიზიტით მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ ფიეიერები, მხურვალედ ვიწონებთ ამ ნაბიჯს, რომელიც ხელს შეუწყობს „ცივი ომის“ ლიკვიდაციას, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება მთვარეზე, რაც ასე წარმატებით განხორციელდა, ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი სამშობლო ძლიერია. მაგრამ ჩვენ არავის არ ვაშინებთ ამ სიძლიერით, პირიქით, მოვუწოდებთ ხალხებს კეთილმეზობლობისაკენ, მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ.

ომი საშინელი იყო ყოველთვის და განსაკუთრებით საშინელი იქნება, თუ აგრესორებმა მისი გაჩაღება მოახერხეს ატომის ეპოქაში.

დაე ხალხის სიმდიდრე, ხალხის ნაამაგარი ნუთუ ახლოდეს ნუ დაინაცრება ომის ხანძარში.

ელენე გეგელაშვილი,
გორის ბამბეულის კომბინატის მრთველთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

მშვიდობისათვის, ხალხის საკეთილდღეოდ

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი არტელია. მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ შევუდექით რთველისათვის მზადებას. ამ დღეებში, სადაც კი ბომბიდა ყოფნა, — საწარმოო ბრიგადებში თუ ფერმებში, სასოფლო საბჭოში თუ კოლმეურნეთა ოჯახებში, — ყველგან მესმოდა ერთი და იგივე: ჩვენი სახელმწიფოს მეთაური ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მიემგზავრება ამერიკაში, იქ შეხვდება დ. ეიზენჰაუერს, ეს შეხვედრა კარგ ნაყოფს გამოიღებს, ომის ღრუბლები გაიფანტება, მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნებაო.

ჩვენი კოლმეურნეები იმედით შეჰყურებენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდეგ დ. ეიზენჰაუერის ჩამოსვლას სსრ კავშირში. ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა ეს შეხვედრები, უეჭველია, მსოფლიოს ხალხებს სასურველ შედეგს მოუტანს, გალხვება „ცივი ომის“ ყინული.

წარსულმა ომმა დიდი უბედურება მოუტანა ხალხს. მარტო ჩვენს სოფელში თითქმის არ არის ოჯახი, რომ რომელმე მახლობელი მაინც არ დაღუპოდეს ფრონტზე. დედებისა და ბავშვების ბაგეს დღეს არ მორდება ნ. ს. ხრუშჩოვის გამამხნევებელი სიტყვები: „ამერიკის შეერთებულ შტატებში მივდივარ კარგი განზრახვებით, მხურვალე სურვილით — შევიტანო ჯეროვანი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში“. ჩვენ გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბატონი ეიზენჰაუერიც მშვიდობის მომხრე იქნება. ეს იქნება საკითხის გადაწყვეტა მშვიდობისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენი სოფლის კოლმეურნეთა სახელით ვუსურვებ ნ. ს. ხრუშჩოვს წარმატებით დაეგვირგვინებინოს საუბრები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან.

ვ. ციხაარიშვილი,
ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მომავლის რწმენით

ცნობას ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურების სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის ვიზიტების მომავალი გაცვლის შესახებ ხალხი შეხვდა, როგორც უდიდესი მნიშვნელობის საერთაშორისო მოვლენას, რომელსაც შეუძლია არა მარტო ამ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობა გაუმჯობესოს, არამედ ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მინდა ჩემი ხმა შევუერთო ხალხის საერთო გულისთქმას და გზა მშვიდობისა ვუსურვო საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს ნ. ს. ხრუშჩოვს.

აკ. ურაშაძე,
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

გაიფანტება ომის ღრუბლები

სტალინირი. (საკ. კორ.). მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სამხრეთ ოსეთის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მშრომელებს სწამთ, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს სასურველი შედეგები მოჰყვება, გაიფანტება ომის ღრუბელი, შენელდება საერთაშორისო დაძაბულობა. ამ დიდ მოვლენას მიეძღვნა მშრომელთა კრებები საწარმოებში, სოფლებსა და სასწავლებლებში.

— ჩვენ შვიდობა, სიხარული გვინდა, — ამბობს კრებაზე ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ წარჩინებული ოსტატი ო. ადუაშვილი. — სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების მეთაურთა ურთიერთვიზიტები ომის საწინდარია, რომ გზა ეხსნება სამშვიდობო მოლაპარაკებას. ამ დიდ მოვლენას ჩვენი ქარხანა, რომელიც ახალია რესპუბლიკის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, გაორკეცებული შრომით უპასუხებს. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — წელს ავითვისოთ 1-2-კილოვატიანი ელექტროვიბრომანქანების წარმოება. ამ დავალებას პირნათლად შევასრულებთ.

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ნება გამოთქვა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ზ. ბიჩენოვმა.

— ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი, — ამბობს იგი, — მშვიდობის ვიზიტია. ხალხებს მშვიდობა სურთ. საბჭოთა ტექნიკა წინ მიდის, ჩვენმა საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეს მიაღწია. ყველაფერი გვექნება, თუ მშვიდობა იქნება შენარჩუნებული. ჩვენ, კოლმეურნეები, კი მშვიდობის შესანარჩუნებლად დაუღალავად ვიშრომებთ პროდუქტების სიუხვისათვის.

ღღეს დიდ ნევაში ღუზას აუშვებს ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“

საუბარი ატომური ყინულმჭრელი „ლენინის“ კაპიტან პ. პონომარიოვთან

ღღეს მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ გავა პირველ ნაოსნობაში. რამდენიმე დღეა ხომალდის ატომურმა გულმა ფეთქვა დაიწყო...

სანაოსნოდ გასვლის წინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ კაპიტანს პ. პონომარიოვს.

„საბჭოთა საყინულმჭრელო ფლოტის ფლაგმანი „ლენინი“, — თქვა ხომალდის კაპიტანმა, — მესამე დღეა დგას მდინარე დიდ ნევაში. ეს ის ადგილია, სადაც 1917 წელს ოქტომბრის ღამეს იდგა ლეგენდარული „ავრორა“ — კაცობრობის ახალი ერის მაუწყებელი.

ჩვენთვის — ხომალდის ეკიპაჟისათვის საამაყოა, რომ ატომური ყინულმჭრელით პირველნი მივდივართ ნაოსნობაში იმ დღეებში, როცა საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეს მიაღწია, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური, მშვიდობის მგზნებარე მედროშე ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში მიემგზავრება. დარწმუნებული ვართ რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ოკეანეს გაღმა გამგზავრება ხელს შეუწყობს „ცივი ომის“ ყინულის გადნობას, ხოლო ჩვენი ატომური ხომალდი დაამსხვრევს საუკუნოვან ყინულებს ოკეანეში.

15 სექტემბერს დილით ატომური ხომალდი „ლენინი“ ღუზას აუშვებს და შეცურდება ბალტიის ზღვაში.

ჩვენ გვწვავს, რომ ამ სერიოზულ გამოცდაში ჩვენთან არის მთელი საბჭოთა ხალხი, რომელთა ხელითაც შექმნილია ეს პირველი ატომური გიგანტი.

დასასრულ ხომალდის ეკიპაჟის სახელით მინდა მივესალმო გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, მთელ ქართველ ხალხს, რომლებიც, როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხები, ინტერესით ადევნებენ თვალყურს ყინულმჭრელი „ლენინის“ ყოველ მოძრაობას და ვუსურვო მათ შემდგომი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში“.

მსოფლიოში პირველი

ისტორიამ არ იცის მეცნიერული აზრის ისეთი გიგანტური მიღწევები, როგორიც საბჭოთა მეცნიერებმა მოიპოვეს ომისშემდგომ წლებში. „მსოფლიოში პირველი!“ — ეს ორი სიტყვა, ესოდენ მრავალმეტყველი, საბჭოთა ქვეყნის სახელთან არის დაკავშირებული. ჩვენს დიად სამშობლოში აგებულ იქნა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური, საბჭოთა კავშირიდან გაშვებულ იქნა პირველად მსოფლიოში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები. მესამე თანამგზავრი ახლაც უფლის დედამიწას ირგვლივ. მსოფლიოში პირველად საბჭოთა კოსმოსური რაკეტა გაეგზავნა მთვარისაკენ პარტიის XXI ყრილობის გახსნის წინადღეებში. გუშინ კი მეორე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეს მიაღწია.

პარტიის ისტორიული XX ყრილობის მსვლელობის დროს მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საბჭოთა კავშირში აგებულ იქნება ატომური ყინულმჭრელი. ამის შემდეგ გავიდა სულ რაღაც სამი-ოდე წელი და საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა განახორციელეს პარტიის გაბედული ჩანაფიქრი, რის გაკეთებაც არ ძალუძს ჯერ არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ლენინგრადში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანში, აგებული იქნა მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“, რომელიც 12 სექტემბერს შევიდა დიდ ნევაში და ღუზა ჩაუშვა ლეიტენანტ შმიდტის ხიდთან, სწორედ იქ, საიდაც იდგა ოქტომბრის რევოლუციის მღელვარე დღეებში ლეგენდარული „ავრორა“. ამ გიგანტის მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის 48 სახალხო მეურნეობის საბჭო იღებდა მონაწილეობას, მრავალი ქალაქის საწარმო ასრულებდა საპატიო დაკვეთებს ყინულმჭრელი „ლენინისათვის“.

მშენებლობის გადამწყვეტ პერიოდში გემზე ნახავდით მოსკოველებს, გორკელებს, ხარკოველებს, ისინი ამოწმებდნენ, ეხმარებოდნენ გემთმშენებლებს ურთულესი მექანიზმების დამონტაჟებაში, როგორც ძმები შრომობდნენ ლენინგრადელი გემთმშენებლების მხარდამხარ.

„ლენინგრადის“, „სევკაბელის“, ეგოროვისა და ჟდანოვის სახელობის ქარხნების მუშა-მოსამსახურენი თავიანთი შრომით უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ყინულმჭრელის მშენებლობაში.

ამ სტრიქონების ავტორი გემზე შეხვდა ლენინგრადის გემთსამშენებლო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროს მასწავლებელს ვლადიმერ მგელაძეს, რომელიც სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა ყინულმჭრელის მშენებლობაში.

ყინულმჭრელის სიგრძე 134 მეტრია, სიგანე კი 27. იგი 16 ათასი ტონა წყალწყვისაა. გემის სამანქანო დანადგარის სიმძლავრე 44 ათასი ცხენის ძალისაა. ყინულმჭრელი „ლენინი“ აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მისი ენერგეტიკული ბაზა ისე ძლიერია, რომ მას შეუძლია საკმაოდ დიდი ქალაქის მომარაგება ელექტროენერგიით. ყინულმჭრელს შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს ორ მეტრზე მეტი სისქის ყინულებში. მარაგის შეუსვლელად, ნაკადგურში შეუსვლელად მას ექვსჯერ შეუძლია შემოუაროს დედამიწას. დღეღამეში ამ გიგანტის დანახარჯი სათბობი გრამებით გამოითვლება.

ხომალდის ცენტრალურ ნაწილში მისი გულია სამი ატომური რეაქტორით. თვითეული მათგანის სიმძლავრე 90 ათასი კილოვატია — სამჯერ მეტი მეცნიერებათა აკადემიის პირველ საბჭოთა ატომურ ელექტროსადგურის რეაქტორზე.

გემის მართვა მთლიანად მექანიზებულია. ვახტზე მყოფ ინჟინერს ღილზე ხელის დაჭერით შეუძლია შეასრულებინოს ამ კვეებერთელა გიგანტს სხვადასხვა ოპერაციები. იგი ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებულია, მხოლოდ უთვალთვალებს მწვანე, წითელი, თეთრი ნათურების ანთებას, რომლებიც აცნობებს ამა თუ იმ მექანიზმების მუშაობას, აქ ყველაფერი ავტომატურად ხდება—ავტომატები მართავენ, აფრთხილებენ და რემონტსაც ასრულებენ. კაპიტანს პირდაპირ თავისი ხელით, მემანქანეების დაუხმარებლად შეუძლია გემის სიჩქარის რეგულირება. გემზე რიგითი მეზღვაურების რიცხვი ინჟინრების რიცხვთან შედარებით მცირეა. ეს გასაგებიც არის — ურთულესი ტექნიკა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს.

ატომურ ყინულმჭრელზე ექვსი ორთქლის გენერატორია, ოთხი ორთქლის მანქანა, 8 დინამოგენერატორი. სამი საცურავი ელექტრომანქანა, რომელიც ამოძრავებს გემის სამ ხრახნს. მთავარი ოთხლაპარტიანი ხრახნი მოძრაობაში მოჰყავს 20 ათას ცხენისძალის ძრავს.

გემს რომ ათვალიერებთ, აღტაცებული ხართ კონსტრუქტორების ნამუშევრით, ყოველ ბანზე, ყოველ კაიუტაში იგრძნობა ადამიანისათვის ზრუნვა. აქ თვალნათლივ ხედავთ, რომ საბჭოთა მეცნიერების ყველა მიღწევა საბჭოთა ხალხის სამსახურშია ჩაყენებული.

ეკიპაჟის წევრები სავსებით დაკცული არიან ატომური გამოსხივების საშიშროებისაგან.

ყინულმჭრელზე 900-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების ოთახია. კაიუტები კომფორტაბელურად არის მოწყობილი. ყოველ კაიუტაში არის საწერი მაგიდა, სავარძელი, დივანი, ტელეფონი, რადიო, საათი, პირსაბანი თბილი და ცივი წყლით. ყინულმჭრელზე არის პოლიკლინიკა თერაპიული, სტომატოლოგიური, ქირურგიული და რენტგენის კაბინეტებით. გემს თავისი პურის საცხობიც აქვს.

მსოფლიო ყინულმჭრელი ფლოტის სიამაყე — ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ ყოველმხრივ მზად არის, რომ გაკაფოს გზები მუდამ მდუმარე ყინულების სამეფოში.

შ. მგელაძე.

ლენინგრადი.

ყინულმჭრელი „ლენინი“ ნევაზე

ლენინგრადი, 12 სექტემბერი. (საკ.ინფ.). დღეს თორმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე მოსკოვის დროით ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ ნევაზე შევიდა.

ათასობით ლენინგრადელი შეიკრიბა ნევის სანაპიროებზე და სიხარულის მისალმებებით შეხვდა ყინულმჭრელთა ფლოტის ფლაგმანსა და მის ეკიპაჟს.



ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ ნევაზე.
ფოტო ბ. ლოსინისა.

სულ უფრო მაღლა და მაღლა

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მოძრაობის შესახებ

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა განაგრძობს მოძრაობას მთვარისაკენ. 17 საათისათვის მოსკოვის დროით რაკეტა დედამიწას დაშორდა 101 ათასი კილომეტრით და იმყოფებოდა ამ დროს კუნძულ სუმატრის დასავლეთ ნაწილის თავზე. რაკეტის რადიოგადამცემები, რომლებიც მოქმედებენ 20,003 მეგაჰერცის, 19,997 მეგაჰერცის, 19,993 მეგაჰერცის და 39,986 მეგაჰერცის სიხშირეებზე, აგრეთვე 183,6 მეგაჰერცის სიხშირეზე, მყარად მუშაობენ. რაკეტაზე დადგმული სამეცნიერო და ტელემეტრიული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. იმ საზომი სადგურებისა და დაკვირვების პუნქტების სისტემა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარეობენ, განუწყვეტლივ იღებს რადიოსიგნალებს და აწარმოებს მათ რეგისტრაციას. დედამიწაზე რადიოტექნიკური სადგურები ზომავენ კოსმოსური რაკეტის ტრაექტორიის მიმდინარე კოორდინატებს, რომელთა მიხედვით გამოთვლით ცენტრში ხდება რაკეტის ორბიტის პარამეტრების განსაზღვრა და მიზანჩვენებათა მონაცემების გაანგარიშება. 19 საათზე მოსკოვის დროით კოსმოსური რაკეტა იმყოფება ინდოეთის ოკეანეს ზემოთ, იმ პუნქტის თავზე, რომლის კოორდინატებია: აღმოსავლეთი გრძედის 78,6 გრადუსი და სამხრეთი განედის 5,4 გრადუსი.

* * *

განაგრძობდა რა ფრენას მთვარისაკენ, 22 საათისათვის მოსკოვის დროით კოსმოსური რაკეტა იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის (ტანგანიკა) ტერიტორიის თავზე, დედამიწას დაშორდა 152 ათასი კილომეტრით, ყველა საზომი სადგური განაგრძობს კოსმოსური რაკეტის ფრენაზე დაკვირვებას და აწარმოებს რაკეტიდან მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის რეგისტრაციას.

ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავების წინასწარი მონაცემებით მეორე კოსმოსური რაკეტის კონტეინერში დადგმული მთელი სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მოქმედებს.

21 საათს 39 წუთსა და 42 წამზე მოსკოვის დროით მერწყულის თანავარსკვლავედში ეკვატორული კოორდინატების (პირდაპირი აღმოსვლა 20 საათი და 41 წუთი და დახრილობა მინუს 7,2 გრადუსი), წერტილში მოჩანდა ხელოვნური კომეტა, რომელიც კოსმოსურმა რაკეტამ წარმოქმნა.

12 სექტემბერს 24 საათზე მოსკოვის დროით კოსმოსური რაკეტა იმყოფებოდა ატლანტიკის ოკეანის იმ პუნქტის თავზე, რომლის კოორდინატებია აღმოსავლეთი გრძედის 4,7 გრადუსი და სამხრეთი განედის 8,4 გრადუსი.

* * *

კოსმოსური რაკეტა განაგრძობს ფრენას მთვარისაკენ, რაკეტიდან მოდის ინფორმაცია სამეცნიერო გზომვათა შესახებ. ძირითადი საზომ საშუალებათა გარდა, კოსმოსურ რაკეტაზე რადიოდაკვირვებას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის ევროპისა და აზიის ქვეყნების ბევრი რადიომოყვარული და რადიოცენტრები. ხელოვნური კომეტა ხელდა 21 საათსა და 48 წუთზე მოსკოვის დროით, როცა მნათი ღრუბლის ოდენობამ მნიშვნელოვან სიდიდეს მიაღწია. იგი მოჩანდა 5-6 წუთის განმავლობაში მაქსიმალური სიკაშკაშის დროს, რომელიც დაახლოებით უდრიდა მე-4 და მე-5 ვარსკვლავთა სიდიდეს. 18 სექტემბერს 8 საათიდან და 20 წუთიდან მოსკოვის დროით რაკეტა გავიდა იმ საზომი პუნქტების დაკვირვების ზონიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარეობენ. ამ დროს რაკეტა იმყოფებოდა 200 ათას კილომეტრ მანძილზე დედამიწიდან და გაიარა ნახევარზე მეტი გზა მთვარემდე. **9 საათზე მოსკოვის დროით 13 სექტემბერს** რაკეტა გამოვიდა რადიოჰორიზონტიდან აღმოსავლეთით. საბჭოთა კავშირის საზომ სადგურებსა და დაკვირვების პუნქტებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა განეგრძოთ სამეცნიერო ინფორმაციის მიღება და რადიოდაკვირვება.

* * *

13 სექტემბერს 9 საათზე მოსკოვის დროით მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა შევიდა საბჭოთა საზომი სადგურებისა და დაკვირვების პუნქტებია დაკვირვების ზონაში და ამ ზონაში იქნება მთვარისაკენ დარჩენილ მთელ გზაზე.

13 სექტემბერს 10 საათისათვის მოსკოვის დროით რაკეტა დედამიწას დაშორდა 258 ათასი კილომეტრით და ჰქონდა დახრილობა მინუს 11,3 გრადუსი და პირდაპირი აღმოსვლა 20 საათი და 49 წუთი. რაკეტას მთვარემდე გასაფრენი რჩებოდა: დაახლოებით 112 ათასი კილომეტრი.

რაკეტიდან მიღებულია სამეცნიერო ინფორმაცია დედამიწის რადიაციის სარტყლების, დედამიწის მაგნიტური არეს, კოსმოსური სხივების, მიკრომეტეორიტებისა და სპალენტათშორისო გაზის შესახებ.

13 სექტემბერს 14 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კოსმოსური რაკეტა იმყოფებოდა 290 ათას კილომეტრზე დედამიწიდან და 80 ათასამდე კილომეტრზე მთვარიდან. მისი კოორდინატები იყო: დახრილობა — მინუს 12 გრადუსი, პირდაპირი აღმოსვლა — 20 საათი და 49 წუთი.

* * *

13 სექტემბერს 16 საათზე მოსკოვის დროით მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა განაგრძობდა ფრენას მთვარისაკენ.

როგორც ცნობილია, რაკეტის ფრენის ტრაექტორია დედამიწიდან მთვარისაკენ გაფრენის მონაკვეთზე შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოძრაობის დროს (მოძრაობის დაწყებიდან წერტილამდე, რომელიც დაახლოებით 66 ათას კილომეტრზე იმყოფება მთვარიდან) ჭარბობს დედამიწის მიზიდულობის ძალების მოქმედება. ამასთან რაკეტის სიჩქარე დედამიწიდან დაშორების კვალობაზე კლებულობს თვდაპირველი მნიშვნელობიდან (11,2 კილომეტრზე მეტი წამში) 2,31 კილომეტრამდე წამში. ტრაექტორიის მეორე ნაწილში მოძრაობის დროს ჭარბობს მთვარის მიზიდულობის ძალების მოქმედება. ტრაექტორიის ამ მონაკვეთში მთვარესთან მიახლოების კვალობაზე რაკეტის მოძრაობის სიჩქარე მთვარესთან შეფარდებით იმატებს და როცა მთვარის ზედაპირიდან მანძილი ათასი კილომეტრი იქნება, მიიღწევს 2,97 კილომეტრს წამში. 16 საათსა და 40 წუთისათვის მოსკოვის დროით რაკეტა შევა მთვარის მოქმედების სფეროში.

18 საათზე მოსკოვის დროით რაკეტა, მოძრაობს რა მთვარის მოქმედების სფეროში, დედამიწას დაშორდება 322 ათასამდე კილომეტრით და იქნება დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომელსაც ექვს შემდეგი კოორდინატები: სიმხრივი განედის 12,5 გრადუსი, აღმოსავლეთი გრძედის 95,9 გრადუსი. რაკეტას მთვარემდე გასაფრენი რჩება 54 ათასამდე კილომეტრი.

ტელემეტრიული სადგურები კვლავ იღებენ სამეცნიერო ინფორმაციას მფრინავი რაკეტიდან.

* * *

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა, რომელიც შევიდა მთვარის მოქმედების სფეროში, 18 სექტემბერს 19 საათისათვის მოსკოვის დროით მიუახლოვდა მთვარეს დაახლოებით 45 ათას კილომეტრზე, გაიარა თავისი გზის 7/8-ზე მეტი მანძილი. რაკეტის სიჩქარე მთვარის მიმართ ამ მომენტისათვის გადიდდა 2,33 კილომეტრამდე წამში.

რაკეტის ტრაექტორიის პარამეტრების დაზუსტებამ, რაც მოხდა ავტომატიზებული საზომი კომპლექსის მონაცემების მიხედვით, შესაძლებელი გახადა დაედგინათ, რომ რაკეტის შეხვედრა მთვარესთან მოსალოდნელი **0** საათსა და **01** წუთზე 14 სექტემბერს. მთვარე ამ მომენტში დედამიწას დაშორებული იქნება 379 ათასი კილომეტრით.

გაყოფის მომენტიდან კონტეინერი და რაკეტის უკანასკნელი საფეხური მიფრინავენ ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ტრაექტორიებით. ცნობებში გამოქვეყნებული კოორდინატები, აგრეთვე მთვარის ზედაპირთან კოსმოსური რაკეტის შეხვედრის იდგილის პროგნოზი განეკუთვნება სამეცნიერო და საზომი აპარატურის კონტეინერს.

ყველა საზომი სადგური განაგრძობს რაკეტის ფრენაზე დაკვირვებას და სამეცნიერო ინფორმაციის მიღებას რაკეტიდან.

კონტეინერში მოთავსებული რადიოგადამცემები, რომლებიც მუშაობენ 183,6 და 39,986 მეგაჰერცის სიხშირეებზე და რომლებითაც მოდის ძირითადი ინფორმაცია და წარმოებს ტრაექტორიის პარამეტრების გაზომვა, მოქმედებენ ნორმალურად. უზრუნველყოფენ მყარ მიღებას. მნიშვნელოვნად შესუსტდა სიგნალები კონტეინერის გადამცემიდან 19.993 მეგაჰერცის სიხშირეზე.

აღინიშნა აგრეთვე რადიოსიგნალების მნიშვნელოვანი შესუსტება გადამცემებიდან 20,003 და 19.997 მეგაჰერცის სიხშირეებზე, რომლებიც მდებარეობენ რაკეტის უკანასკნელ საფეხურზე, რომელსაც გამოეყო კონტეინერი.

რაკეტის ფრენის საბოლოო მონაკვეთზე მთვარის ზედაპირთან შეხვედრის მომენტამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩაირთვება სპეციალური რადიოტექნიკური სისტემა, რომელიც კონტეინერშია, — მთვარის ალტიმეტრი. მთვარის ალტიმეტრის საშუალებით შესაძლებელი გახდება მიღებულ იქნას დამატებითი ცნობები მთვარის ზედაპირის თავზე რაკეტის სიმაღლის ცვლილების შესახებ მოძრაობის პროცესში. მთვარის ალტიმეტრის საპასუხო სიგნალები გადმოიცემა 183,6 მეგაჰერცის სიხშირეზე.

კოსმოსურ რაკეტაზე მიღებულია ღონისძიებანი, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მთვარის ზედაპირის მოწამვლას დედამიწის მიკროორგანიზმებით.

18 სექტემბერს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დაკვირვების სადგურზე გადაიღეს ის მომენტი, როცა კოსმოსურმა რაკეტამ ნატრიუმის ღრუბელი გაუშვა.

სურათზე: სადგურის უფროსი გ. კვირკველია ნატრიუმის ღრუბლის გადაღების მომენტში.

ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკეტა მთვარის სჯუმარი არის

შეტევა უინულეთზე

ნახატი გრ. ოგანოვისა.

ფრთაშეესხმული ოცნება

სახიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა მეცნიერებამ კვლავ ახალი წარმატება მოიპოვა მთვარეზე მეორე კოსმოსური რაკეტის გაშვებით. მადლობა მეცნიერებას, რომელმაც საზღვარი არ იცის!

საბჭოთა მეცნიერების გამარჯვების საწინდარია ის დიდი მზრუნველობა, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის. მეცნიერება მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია ხალხის სამსახურში ჩაყენებული. მთვარეზე კოსმოსური რაკეტის გაშვებით საბჭოთა სახელმწიფომ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ საბჭოთა მეცნიერული აზრი დაუშრეტელია, რომ მას ასაზრდოებს ხალხისადმი სამსახურის იდეა, მშვიდობისათვის ბრძოლის იდეა. ეს ჩვენი სასიხარულო იმედია.

საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვება კოსმოსური სივრცეების დაპყრობის საქმეში ჩვენ, მასწავლებლებს, გვავალებს მონდომებით და გულისხმიერად განვუმარტოთ მოსწავლეებს ამ ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა, გვავალებს დაუცხრომლად დავნერგოთ ახალგაზრდობაში მეცნიერული აზრი და ოცნება.

მოსწავლე ახალგაზრდობაში მეცნიერულ-ტექნიკური ოცნების გავრცელება მარტო ფიზიკოსების საქმე როდია. მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ფიზიკოსებზე ნაკლებად როდი ვარ დაინტერესებული, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ნაყოფიერ შრომასთან ერთად ტექნიკური მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდეს.

ჩვენი საბჭოთა მეცნიერების ახალი გამარჯვებით აღფრთოვანებული და შთაგონებული მომავლისა უფრო ენერგიულად ვიმუშავებ, რათა სამშობლოს აღვუზარდო მცოდნე, ცხოვრებისათვის კარგად მომზადებული ახალგაზრდობა.

დ. ჰყონია,
თბილისის 39-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

მეგობართა ალტაცება

დიდი გამარჯვება

პეკინი. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურით ბეჭდავს საქდესის იმ ცნობას, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა მეორე კოსმოსური რაკეტა მთვარისაკენ.

„ახალი ფურცელი კოსმოსური სივრცის დაპყრობაში, დიდი წვლილი მშვიდობის განმტკიცების საქმეში" — ასე უწოდა ამ ცნობას გაზეთმა „დაგუნ ბაო". სტატიაში: „მივესალმებით წითელ რაკეტას", გაზეთი წერს: მეორე კოსმოსური რაკეტის გაშვება მოწმობს საბჭოთა კავშირის სწრაფ განვითარებასა და მის უდიდეს მიღწევებს კოსმოსისა და რაკეტული ტექნიკის კვლევის დარგში...

მეორე კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება საბჭოთა კავშირში დასკვნის „დაგუნ ბაო", კვლავ ადასტურებს სოციალისტური სისტემის შეუდარებელ უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს მშვიდობის ძალების ახალი გამარჯვებაა.

გაზეთი „ჯუნგო ცინიან ბაო" მოწინავე სტატიაში „ვულოცავთ მოსკოვს" წერს: ჩვენ მხურვალედ ვულოცავთ საბჭოთა ხალხს, რომელმაც წარმატებით გაუშვა ცხრა თვეში ორი კოსმოსური რაკეტა. ვულოცავთ მას ახალ დიდ წვლილს მშვიდობის საქმეში და ვუსურვებთ ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მის სწრაფ წინსვლაში.

ახალი ტრიუმფი

საბჭოთა მეორე კოსმოსური რაკეტის მთვარეზე გაშვებამ მთელ კაცობრიობას სიხარული და აღტაცება განაცდევინა. კიდევ ახალი დადასტურება მივიღეთ იმ ფაქტისა, რომ ადამიანის გონების ძალას არა აქვს საზღვარი ბუნების მოვლენების შეცნობისა და მისი ძალების დამორჩილების საქმეში. კიდევ ერთხელ ვნახეთ, რომ საბჭოთა ადამიანმა გაბედულად, ფართოდ შეაღო კარი კოსმოსის სივრცეში. ახლა უკვე კოსმოსის დაპყრობის საწყისებთან კი აღარა გვაქვს საქმე, არამედ ჩვენს წინაშეა წარმატებულად შესრულებული აქტი — ერთ-ერთი იმ ღონისძიებებს შორის, რომელთაც საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა გეგმაზომიერად და მიზანდასახულად ახორციელებს.

ძნელია შეაფასო მნიშვნელობა იმ მონაცემებისა, რომელთაც გვაძლევს ახლად გაშვებული რაკეტა — ეს ნამდვილი ლაბორატორია, რომელიც გვაწვდის საინტერესო ცნობებს კოსმოსის შესახებ.

რამდენადაც საბჭოთა მეორე კოსმოსურ რაკეტაში გამოხატულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი სიმძლავრე და მაღალი დონე, რამდენადაც მისი გაშვების დანიშნულებაა კოსმოსური სივრცის მეცნიერული შესწავლა, რამდენადაც იგი წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების შეძლებისა და მისწრაფების ერთიან ნაყოფს — იმდენად იგი სიმბოლურად გამოხატავს მსოფლიოში მშვიდობის ძალების გარდუვალ გამარჯვებას.

მიუხედავად უკვე მოპოვებული დიდი წარმატებებისა, საბჭოთა კოსმონავტიკა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა დარგია, ამიტომ არ შეგვიძლია არ დავუკავშიროთ ახალი წარმატებით გამოწვეული განცდები ფიქრებს ახლანდელ ახალგაზრდობაზე, მშრომელ და მოსწავლე ახალ თაობაზე, რომელსაც მოელის მომავალში სრულად გამოიყენოს თავის საკეთილდღეოდ დღევანდელი წარმატებებით მოპოვებული ნაყოფი.

ეს ნაყოფი წლობით შეუპოვრად დაგროვილი ცოდნისა და თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. ის მოგვაგონებს და გვასწავლის, რომ გზა დიადი გამარჯვებისაკენ არის გზა დაუცხრომელი სწავლისა, მოვლენების შეცნობისა და შეუპოვარი შრომისა.

მეორე გარემოებაც დასანახავია კოსმოსური რაკეტის გაშვების ფაქტში. რაკეტა კოლექტიური შემოქმედების პროდუქტია. ხშირად გვეკითხებიან, ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც შექმნა ან გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ან კოსმოსური რაკეტა? ასეთი კითხვა უმართებულოა. კოსმოსური რაკეტა, ისევე როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის სხვა გამოგონებანი (მაგალითად, ხელოვნური ატომური ენერგია) შექმნილია ადამიანთა დიდი კოლექტივების, დაწესებულებათა კოლექტივების მიერ, და უფრო მეტიც — ტექნიკისა და მეცნიერების დარგების კოლექტივების მეშვეობით. იგი შექმნილია იმ ხალხის შემოქმედებითი შრომის შედეგად, რომლის ძალას წარმართავს და ხელმძღვანელობს დიადი კომუნისტური პარტია.

თანამედროვე მეცნიერების განვითარების ხასიათი და ტენდენციები ისეთია, რომ მხოლოდ კოლექტიურ შრომასა და შემოქმედებას შეეძლება მეტი წარმატების მოტანა. ჩვენში კი — საბჭოთა ქვეყანაში — საზოგადოების წყობაა ისეთი, რომ შრომის კოლექტიური ფორმები ყველაზე მეტად ბუნებრივი და ნაყოფიერია.

მშრომელმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ კარგად უნდა შეიგნოს ეს და ამთავითვე ეჩვეოდეს და მტკიცედ შეეთვისებოდეს კოლექტიურ მოღვაწეობას. კოლექტივში მოღვაწეობა გვასწავლის დავაყენოთ საზოგადოებრივი ინტერესები პირადულ ინტერესებზე მაღლა. ეს კი საწინდარია იმ ძალების ამოძრავებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების პროგრესს.

საბჭოთა მეორე კოსმოსურ რაკეტაზე წარმატებული დაკვირვება ჩატარდა სსრ კავშირის ტერიტორიის მრავალი პუნქტიდან. საქართველოს რაკეტას აკვირდებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ოპტიკური სადგურიდან.

რაკეტიდან გამოტყორცნილ ლატრიუმის ღრუბლის კარგი ფოტოგრაფიები მიიღეს აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომლებმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ალანიამ და მეცნიერმა თანამშრომელმა ს. აფრიამაშვილმა, ა. ხატისოვმა, ლ. მოსიძემ და თბილისის უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის თანამშრომლებმა ოპტიკური სადგურის გამგემ გ. კვირკველიამ, დოცენტმა მ. კოლხიდაშვილმა და უფროსმა ლაბორანტმა გ. ქევანიშვილმა.

პროფესორი ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

აღსრულდა...

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა გმირი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ჩვენი რაკეტის, მშვიდობის რაკეტის მთვარისაკენ გაფრენას. რიცხვით ეს მეორე რაკეტაა, რომელიც კოსმოსში გაიჭრა. მზისკენ წასული პირველი საბჭოთა რაკეტა თვითონ იქცა პლანეტად. მეორე რაკეტა კი ამ ორი დღის წინათ გაფრინდა მთვარის მიმართულებით და გუშინ, 14 სექტემბერს, 0 საათსა, 2 წუთსა და 24 წამზე მოსკოვის დროით მთვარეს მიაღწია. მან მთვარეზე აიტანა ჩვენი სამშობლოს გერბი.

მშვიდობისმოყვარე ადამიანთა უსაზღვრო სიხარულს იწვევს საბჭოთა მეცნიერების ეს მართლაც ზღაპრული წარმატება. ახლა, როცა კაცობრიობა მოუთმენლად ელის ორი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამშვიდობო რაკეტის გაფრენას მთვარეზე.

შესრულდა მამა-პაპათა სანუკვარი ოცნება. კოსმოსის საიდუმლოებას მიხწევდა საბჭოთა მეცნიერება. ჩვენი ქვეყნის ამ უდიდეს შემოქმედებითს მიღწევაზე დაიწერა და დაიწერება ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი უთვალავი ნაწარმოები.

ხ. შანშიაშვილი,
მწერალი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ჩვენი მადლობა საბჭოთა მეცნიერებს

სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო ჩემი სიხარული საბჭოთა მეცნიერების უდიდესი გამარჯვების გამო. საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა კოსმოსური რაკეტის მეორე წარმატებითმა გაშვებამ მთვარისაკენ ერთხელ კიდევ დამატკიცა ჩვენი სამშობლოს ტექნიკის ძალა და ძლიერება.

ჩვენ, კოლმეურნეები, დიდად აღფრთოვანა ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ უკვე მიაღწია მთვარეს, ეს არის ჩვენი საბჭოთა მეცნიერების აზრის უბადლო გამარჯვება. ვუსურვებთ მათ შემდგომ ახალ წარმატებას. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვდებ ახალ წარმატებას მივაღწიო ბრიგადაში. თუ დღემდე მოკრეფილი გვაქვს 90 ტონა ჩაის ფოთოლი, სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოვკრეფთ 20 ტონას.

ახალსოფლელი კოლმეურნეები უფრო ენერგიულად იშრომებენ საყვარელი სამშობლოს, მშობლიური კომუნისტური პარტიის სასახელოდ და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

პასუხი შეკითხვაზე

რა არის მეორე კოსმოსური სიჩქარე?



დედამიწაზე არსებული ყოველი სხეულის, ყოველი ნივთიერი ნაწილაკის სიმძიმე დედამიწის მიზიდულობით არის გამოწვეული.

დედამიწის მიზიდულობით ყოველი სხეული დამაგრებულია მიწაზე. როცა რომელიმე სხეული რაიმე ძალის ზემოქმედებით მოძრაობაში მოგვყავს, მაშინ ის მოძრაობს მანამდე, სანამ ეს ძალა მოქმედებს. თუ გამწე ძალამ მოქმედება შეწყვიტა, მაშინ სხეული მართალია, ინერციით განაგრძობს მოძრაობას, მაგრამ ის მალე ჩერდება და ისევ ეკვრის დედამიწის ზედაპირს.

უძველეს დროში დედამიწა სამყაროს, ანუ კოსმოსის, უძრავი ცენტრი ეგონათ, მაგრამ გამოირკვა, რომ დედამიწა თავისი ატმოსფეროთი კოსმოსურ სივრცეში მოძრაობს, რომ დედამიწა ერთ-ერთი კოსმოსური სხეულია, რომლის მსგავსი უამრავია.

კოსმოსური სხეულები მუდამ მოძრაობაში არიან; ამასთანავე მათზე რაიმე სპეციალური „გამწე ძალა" არ მოქმედებს. მათს მოძრაობას განსაზღვრავს (წარმართავს) მათი ურთიერთმიზიდულობა და ინერცია.

გარდა დედამიწის მიზიდულობისა, გასროლილ სხეულს წინააღმდეგობას უწევს ჰაერი. ჰაერის წინააღმდეგობა რომ არ იყოს, მაშინ, თუ ჭურვს წამში 7,9 კილომეტრი სიჩქარით გავისროდით, ის აღარ დავარდებოდა მიწაზე, არამედ იმოძრავებდა დედამიწის გარშემო წრეხაზზე. ამ მინიმალურ სიჩქარეს, რომელიც უნდა მივანიჭოთ სხეულს, რათა მან დედამიწის გარშემო იმოძრაოს, პირველი კოსმოსური სიჩქარე ეწოდება.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება წარმოებს რაკეტებით. რაკეტას თანამგზავრი აიკვეს 200 კილომეტრზე უფრო მაღლა, სადაც ატმოსფერო ძალიან გაიშვიათებულია, და თანამგზავრს სათანადო სიჩქარეს აძლევს. თუ ეს სიჩქარე წამში ზუსტად 7,9 კილომეტრი იქნება, მაშინ თანამგზავრი იმოძრავებს წრეხაზზე დედამიწის გარშემო. ხოლო თუ აღნიშნულ სიჩქარეს გადააჭარბა, მაშინ თანამგზავრი მოძრაობს ელიფსურ ორბიტზე: ის ხან დაუახლოვდება მიწის ზედაპირს და ხან დაშორდება.

თანამგზავრის ორბიტის მიწასთან უახლოეს წერტილს ეწოდება პერიგე, ხოლო უშორეს წერტილს — აპოგე. რაც უფრო მეტი იქნება თანამგზავრის სიჩქარე, მისი ორბიტის აპოგე მით უფრო შორს იქნება დედამიწიდან.

თუ თანამგზავრის სიჩქარე დედამიწის ზედაპირის მახლობლად წამში 11,2 კილომეტრი იქნება, მაშინ მისი ორბიტის აპოგე იქნება უსასრულოდ შორ მანძილზე, ე. ი. თანამგზავრი იწყებს სულ უფრო და უფრო მეტი მანძილით დაშორებას დედამიწიდან. ეს ნიშნავს სხეულის სამუდამოდ დაშორებას დედამიწიდან. ამ სიჩქარეს — 11,2 კილომეტრს წამში — უწოდებენ მეორე კოსმოსურ სიჩქარეს. დედამიწის ზედაპირიდან ამაზე უფრო მეტი სიჩქარით გასროლილი ყოველი სხეული სამუდამოდ ტოვებს დედამიწას.

ძველათ კოსმოსური სიჩქარით სხეულის გასროლის საშუალება არ იყო. პირველი კოსმოსური სიჩქარით სხეულის გასროლა (გაშვება) პირველად მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირში 1957 წლის 4 ოქტომბერს, რითაც შეიქმნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. მეორე კოსმოსური სიჩქარით სხეულის გაშვება პირველად მიღწეულ იქნა კვლავ საბჭოთა კავშირში 1959 წლის 2 იანვარს, როცა შეიქმნა პირველი ხელოვნური პლანეტა.

სამი დღის წინათ, 1959 წლის 12 სექტემბერს, საბჭოთა კავშირიდან გაშვებულ იქნა მეორე კოსმოსური რაკეტა, რომელსაც მეორე კოსმოსურ სიჩქარეზე მეტი სიჩქარე მიენიჭა და ის მთვარეზე გადავიდა.

დოც. ა. ფურცხვანიძე.

მეგობართა ალტაცება

«თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულია»



პრაღა. როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა სააგენტო იუწყება, ცნობამ, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა მეორე კოსმოსური რაკეტა კოსმოსური სივრცის გამოკვლევის მიზნით მთვარისაკენ გაფრენის დროს, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივობის ფართო ინტერესი გამოიწვია.

დღის მეორე ნახევარში პრაღაში საბჭოთა საელჩოს ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა რაიონიდან მოსდიოდა მრავალრიცხოვანი დეპეშები, რომლებშიც საწარმოთა კოლექტივები და ცალკეული პირები გულითადად ულოცავენ საბჭოთა ხალხს ახალ გრანდიოზულ გამარჯვებას. საბჭოთა ლიტერატურის საკითხთა კონფერენციის მონაწილეთა დეპეშაში, რომელიც დღეს იხსნება ქალაქ პლზენში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვართ ახლომეზი ძმები. თქვენი სიხარული და დიდება მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სიხარული და დიდებაა".

საერთაშორისო ბაზრობაზე ბრნოში ადგილობრივი რადიოკავშირის მიერ საკდესის ცნობის გადაცემის შემდეგ, დამთვალიერებლები ჯგუფებად მიდიოდნენ საბჭოთა პავილიონში, სადაც აღტაცებით ირთმევდნენ ხელს პავილიონის მუშაკებს.

სადამოს, როცა ცნობა მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მთვარისაკენ გაშვების შესახებ მოედო ჩეხოსლოვაკიის ყველა ქალაქსა და სოფელს, პრაღის რადიომ გადასცა რაკეტის ფირზე ჩაწერილი სიგნალები. ჩეხოსლოვაკიის რადიომ გადასცა აგრეთვე მეცნიერული პოპულარული საუბარი ჩეხოსლოვაკიის თვალსაჩინო მეცნიერებთან და გეოფიზიკური და ასტრონომიული ობსერვატორიების მუშაკებთან, მიძღვნილი საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევისადმი".

რა ვიცით მთვარის შესახებ

თვარის ფოტოსურათების დაწერილებით შეესწავლან ცხადყო, რომ მისი ზედაპირი დაფარულია მთაგრეხილებით (რომელთა სიმაღლე რვა-ცხრა კილომეტრს აღწევს), ნაპრალებითა და რკალისებრი მთებით. ეს მთები დედამიწის ვულკანების კრატერებს მოგვაგონებენ, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ზომისა არიან. ზოგიერთი მათგანის დიამეტრი სამას კილომეტრს აღწევს. გარდა ამისა, მთვარეზე გვხვდება ვაკე ღრმულები, რომლებმაც „ზღვების" პირობითი სახელწოდება მიიღეს.

საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს, მაგალითად, ის საკითხი, თუ რისგან შედგება დედამიწის თანამგზავრის ზედაპირი, როგორია მისი აღნაგობა. საბჭოთა ასტრონომის პროფესორ ბარაბაშოვის კვლევამ ცხადყო, რომ მთვარის ზედაპირზე თითქმის სრულებით არ არის გლუვი ნაკვეთები. სხვადასხვა ქანები, რომლებისგანაც მთვარის ზედაპირი შედგება, ტემპერატურის ძლიერ რყევას განიცდიან. მთვარეზე ატმოსფეროს უქონლობა იწვევს იმას, რომ დღისა და ღამის ტემპერატურებს შორის განსხვავება მეტად დიდია. ღამით მთვარის ზედაპირის ტემპერატურა 150 გრადუს სიცივემდე ეცემა. ხოლო დღე რომ დადგება, იგი სწრაფად იწევს მაღლა 130 გრადუსამდე ნოლს ზევით.

აგრეთვე შემჩნეულ იქნა, რომ მთვარიდ დაბნელებათა დროს, როცა მთვარის ზედაპირის სხვადასხვა უბნები დედამიწის ჩრდილში ექცევა, მათი ტემპერატურა მაშინვე მკვეთრად ეცემა. ეს იმას მოწმობს, რომ მთვარის ზედაპირის ზედა ფენა ძალიან ცუდად ატარებს სითბოს. საბჭოთა მეცნიერმა პროფესორმა მარკოვმა დაამტკიცა, რომ მთვარის მთელი ზედაპირი ღრუბლისებრი აღნაგობის ფოროვანი მასალებისაგან შედგება. ეტყობა, ეს იმის შედეგია, რომ მთვარის ზედაპირი, რომელიც დაცული არ არის ატმოსფეროული გარსით, „დამუშავებულია" მეტეორიტების მიერ. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობს, რომ მეტეორიტები, მართალია გაცილებით უფრო დიდები, მცირე როლი როდი ასრულებდნენ მთვარის კრატერების წარმოქმნაშიც.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მთვარის რკალისებრი მთები, მათი აზრით, მხოლოდ მეტეორიტებით შექმნილი თავისებური ორმოებია. მაგრამ უფრო გავრცელებულია სხვა თვალსაზრისი, როგორც მთვარის კრატერების წარმოქმნას აკავშირებს მთვარეზე ვულკანურ მოქმედებასთან. ეს მოქმედება ბევრი ნიშნის მიხედვით ოდესღაც ძალიან ძლიერი ყოფილა. მაგრამ მთვარის რელიეფის წარმოქმნის ვულკანური ჰიპოთეზა დღემდე პირდაპირ არ დადასტურებულა.

ამ ბოლო დროს ასტრონომთა ყურადღება მიიპყრო მთვარის კრატერმა „ალფონსმა". ეს უზარმაზარი კრატერი, რომლის დიამეტრი 130 კილომეტრს აღემატება, მთვარის დისკოს თითქმის ცენტრშია. ყველაზე დეტალური მისი კვლევა მოახდინა საბჭოთა მეცნიერმა პროფესორმა კოზირევმა ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დადგეული უდიდესი ტელესკოპ-რეფლექტორის საშუალებით.

ერთხელ მან კრატერ „ალფონსის" ცენტრალური მწვერვალის არაჩვეულებრივი ფოტოსურათი მიიღო. სხვა ფოტოსურათებთან შედარებით ეს მწვერვალი მოწითლო ჩანდა. ორი საათის შემდეგ ცენტრალური მწვერვალის მკაფიობა თითქმის ერთიორად გადიდდა. ეს მოვლენა ჩანდა დაახლოებით ნახევარ საათს, რის შემდეგ კრატერმა „ალფონსმა" კვლავ თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო. პროფესორ კოზირევის ერთდროულად ეს აგზნება დაინახა აგრეთვე ხარკოვის ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომელმა ეზერსკიმ. მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ აგზნების მომენტში კრატერ „ალფონსში" ნახშირბადი გამოიყოფოდა, რაც დამახასიათებელია ვულკანური პროცესებისათვის.

მთვარეზე მოქმედი ვულკანის აღმოჩენა ახალ შუქს ფენს მთელ რიგ სხვა მოვლენებს, რომლებიც ჩვენი თანამგზავრის ზედაპირზე მოჩანს.

უწინარეს ყოვლისა — ეს არის მთვარის საერთოდ მორუხო-ნაცრისფერი ზედაპირის ცალკეული უბნების ფერის ცვლა. არისტარქესა და ჰეროდოტეს რკალისებრი მთების ჩრდილო-აღმოსავლეთით მრავალ კილომეტრზე გადაჭიმულია მთაგორიანი მხარე. ჩვეულებრივ დროს მას თითქმის ისეთივე ფერი აქვს, როგორც მთვარის ზედაპირის დანარჩენ ნაწილებს. მაგრამ მთვარის გავსებამდე ცოტახანით ადრე მთელი ეს მხარე მოყვითლო-მწვანე ხდება. და ეს ოდნავ შეფერადებული ნისლი როდია, არამედ თვით ზედაპირის მკაფიო შეფერილობაა. პირველი და უკანასკნელი მეოთხედის დროს მთვარის დისკოს შუა ნაწილის ახლოს ჩნდება საკმაოდ დიდი ბუნდოვანი ლაქა. იგი ზოგიერთ მთაგრეხილსაც კი ფარავს, ასე რომ მათი მწვერვალების გარჩევა ძლივსღა შეიძლება. იგი ძალიან ჰგავს ჩრდილს. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ჩრდილი არ არის.

როგორც ამ, ისე ბევრ სხვა შემთხვევაში, შეფერილობის ცვლილებები ხდება პერიოდულად, მთვარის ფაზების ცვლის, ანუ იგი მთვარის ჰორიზონტზე მზის სიმაღლის ცვლილების შესაბამისად. საბჭოთა ასტრონომმა პროფესორმა ბარაბაშოვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ლაქები, რომლებიც მთვარის ზედაპირზე ჩნდება, რაღაც მსუბუქი თრთვილის მსგავსია. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრსაც კი გამოთქვამს, რომ მთვარის ცალკეული ნაწილების შეფერილობის პერიოდული ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს რაღაც მცენარეულ პროცესებთან.

ასეთი მტკიცება შეიძლება უცნაური გვეჩვენოს. მთვარეზე ხომ ატმოსფერო პრაქტიკულად არ არის, სრულებით არ არის წყალი, ხდება ტემპერატურის არაჩვეულებრივად მკვეთრი რყევა!.. მაგრამ, მეორე მხრივ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ მთვარეზე არსებობდეს დღემოკლე დაბალი მცენარეული ორგანიზმები; მათ არსებობა შეუძლიათ ნახშირმჟავა გაზის ატმოსფეროში, რომელიც ზოგიერთი კრატერის ფსკერზე ნაპრალებიდან გამოიყოფა, და ნიადაგიდან მიიღონ საჭირო საკვები ნივთიერებანი.

ახლა არავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ადამიანი ფეხს დადგამს მთვარის ზედაპირზე, და მისი საიდუმლოებანი საბოლოოდ იქნება გამოცნობილი.

ასტრონომი
ვ. კომაროვი.
მოსკოვის პლანეტარიუმის ლექტორი.

მთვარის საერთო ხედი

ერთხმად გაისმის საქართველოში

გუშინ მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგებზე

მსოფლიო შემართულია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით. გუშინ საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიაღწია მთვარის ზედაპირს, ეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კოსმოსის გამოკვლევასა და დაპყრობაში. ახლა დედამიწა პატარა პლანეტაა მეცნიერული აზრისათვის, რომელიც ხვალინდელი დღის პრაქტიკულ ამოცანად აყენებს პლანეტიდან პლანეტაზე ადამიანის მოგზაურობას.

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მეგობრული ვიზიტით მიემგზავრება საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ ვიზიტს ხალხები აფასებენ როგორც დიდმნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხებს მეგობრული ურთიერთობის ფუძეზე ... ეს ... ეს ... ...